პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი 1925 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

944 (246) | 1-ლი 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. ნ. სტრ

## წითელ-არმიელო, ხელი შეუწყვე მეორე საგლეხო სესხის განაღდებას.

საბჭოთა მთავრობა შეუდგა მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების გავრცელებას.

როგორც წინანდელი ისე ამ სესხის მნიშვნელობა მეტად დიდია.

მისი განაღდება დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს, ისე ფართე გლეხთა მასებს.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება და ზრდა ბევრად დამოკიდებულია იმისგან თუ რამდენათ მეტი საშუალებები ექნება მას. რომ ჩვენი მეურნეობა სწრაფი ნაბიჯათ მიიმართება წინ აღორძინების გზაზე, ეს დღეს ყველასათვის უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

მაგრამ მეურნეობის ზრდასთან იზრდება მშრომელთა მასების მოთხოვნილებებიც. იზრდება იმდენათ, რომ ჩვენი მრეწველობა ვერ ასწრებს ამ მოთხოვნილებების მთლიანად დაკმაყოფილებას. და ეს იმიტომ, რომ მას არ აქვს საკმაო თანხა, საშუალებები, რომ უფრო გააფართოვოს და გადიდოს წარმოება. კაპიტალისტური ქვეყნები სესხს არ გვაძლევენ და არც აპირებენ მოცემას. პირიქით ისინი მოწადინებული არიან როგორმე შეაფერხონ ჩვენი სამეურნეო წინსვლა და წარმატება. მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა საბჭოთა ქვეყანას მაინც აქვს გამოსავალი გზა.

ეს არის შინაური სესხი, საგლეხო სესხი. ჩვენს ვებერთელა კავშირში გაბნეულია ბევრი თავისუფალი თანხა, რომელიც უმოქმედოთ ძევს.

ამ თავისუფალ თანხებს საერთო ჯამში შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ჩვენ სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეს.

როგორ შეიძლება, ამ თავისუფალი თანხის დაგროვება სახელმწიფოს ხელში?—რასაკვირველია სესხის სახით. სახელმწიფო უშვებს სესხის ობლიგაციებს, ეს ობლიგაცია უნდა შეიძინოს ყოველმა მშრომელმა. ყიდულობს რა ობლიგაციებს გლეხი დახმარებას უწევს თავის სახელმწიფოს და ამავე დროს თვითონაც, დიდ სარგებლობას პოულობს, ის იღებს პროცენტებს ყოველთვიურად.

მასთან სესხის ობლიგაციები სავსებით უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფოს მიერ.

ყოველი, ვინც შეიძენს ობლიგაციას, შეუძლია დაიბრუნოს მასში მიცემული ფული, როცა მას მოესურვება. ასეთია საგლეხო სესხის მნიშვნელობა და როლი.

თითეული გლეხი, თუ მას საშვალება აქვს, ზნეობრივად ვალდებულია შეიძინოს ეს ობლიგაციები.

ამით ის დიდ დახმარებას გაუწევს მუშურ გლეხურ სახელმწიფოს მეურნეობის განვითარებაში, და მეორე მხრივ პირადათ ისარგებლებს. ჩვენი წითელ არმიელები თავის წერილებში სახლში თუ პირად საუბრების დროს, აგრეთვე ჩვენი ცვალებადელებიც ვალდებული არიან ვრცლად გაუშუქონ გლეხებს საგლეხო სესხის მნიშვნელობა და მოუწოდონ მათ ასეთების შეძენისაკენ.

## კლუბის მზადება ოქტომბრისათვის.

მოახლოვებულია ოქტომბრის დღესასწაული. ზოგიერთი ნაწილი უკვე შეუდგა მზადებას დღესასწაულის სათანადოთ ჩასატარებლად,

კლუბმა თავისი წრეებით უნდა აწარმოოს ამ თავითვე გაცხოველებული მუშაობა, რომ დღესასწაულის ჩატარება იყვეს საზეიმო და ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი. კლუბის გამგეობა უნდა შეუდგეს ეხლავე სათანადო მასალის მომარაგებას როგორც საწრეო, ისე მასიურ მუშაობისათვის.

ლენინის კუთხეში სისტემატიურად უნდა იმართებოდეს ბაასი ოქტომბრის ამბების ირგვლივ, უნდა იკითხებოდეს ნაწყვეტები მოთხრობებიდან, სადაც აღწერილია ოქტომბრის დღენი. ჩვენი წითელი არმიელნი და ზოგიერთნი მეთაურნი არ ყოფილან უშუალო დამსწრენი ოქტომბრის დღეების, მათ ან გაუგონიათ, ან წაუკითხავთ ეს ამბები. მივიღებთ რა ამას მხედველობაში, უნდა ვეცადოთ, რომ ყოველ წითელ არმიელის და მეთაურის გონებაში ნათლად აღიბეჭდოს ოქტომბრის ამბების ფაქტიური მსვლელობა. ამისთვის მასალა ბლომად არის ჩვენ ბიბლიოთეკებში, საჭიროა მისი ფართედ გამოყენება. კარგი იქნება მოთხრობა ამბების მათ მიერ, ვინც იღებდა მონაწილეობას ამ დღეებში. ოქტომბრის მონაწილენი უეჭველია იქნებიან ჩვენს ნაწილებში.

აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული წრეების მუშაობაც.

პოლიტწრემ თავის მუშაობაში უნდა ნათლად გააშუქოს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. უნდა შედგეს სათანადო დიაგრამები.

სამხატვრო წრეებზეა დამოკიდებული, თუ რამდენათ საზეიმო ხასიათი ექნება ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი სიმძიმე მუშაობის მათ დააწვებათ. ამიტომ საჭიროა, რომ მუშაობას ეხლავე შეუდგნენ. საღამო, რომელიც გაიმართება მათ მიერ, უნდა იყვეს ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი, უნაკლო.

მასალა საგანგებოთ უნდა იქნეს შერჩეული. ყოველი ინსცენიროვკა, პიესა, ლექსი, სიმღერა უნდა ატარებდეს დღესასწაულის ელფერს და შეეფერებოდეს ოქტომბრის დღეებს.

ე. ხუციშვილი.

# ახალი რადიო-ამბები

## პენლევეს მთავრობის გადადგომა.

### კაიოს ამხანაგებიც უშოვნეს.

მემარცხენე ბლოკი (კავშირი) რთულ მდგომარეობაშია.

სოციალისტები მხარს დაუჭერენ იმ მთავრობას, რომელიც კაპიტალის დაბეგვრის მომხრე იქნება.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პენლევემ გადასცა პრეზიდენტ დუმერგს თხოვნა კაბინეტის გადადგომის შესახებ.

პენლევეს ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია კაიოს ჯგუფობით, რომელსაც არ უნდოდა მარტო გადამდგარიყო. იმავე დროს ეს გადადგომა ერთგვარი პოლიტიკური ვარჯიშია რათა ძალაუფლება შეუნარჩუნონ მემარცხენე ბლოკს (კავშირს).

— გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო საფრანგეთის სენატისა და დეპუტატთა პალატის მემარცხენე ჯგუფებმა რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის გაშვების შესაძლებლობას, მოწმობს იმას, რომ მემარცხენე ბლოკს კარგად ესმის თავისი ძნელი მდგომარეობა.

— პალატის მემარცხენე ჯგუფების ბიურომ მხარი დაუჭირა ფინანსიურ გეგმას, რომელიც უმთავრესად დამყარებულია კაპიტალის დაბეგვრაზე. სოციალისტ ბლოკმა განაცხადა, რომ სოციალისტები მხარს დაუჭერენ მთავრობას, რომელიც მიიღებს ერთის პოლიტიკურ პროგრამას და თანახმა იქნება კაპიტალის დაბეგვრისა.

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### ჩინეთის სატარიფო კონფერენციის წინააღმდეგ.

შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის.

სატარიფო კონფერენციის გახსნასთან დაკავშირებით პეკინში გაიმართა მრავალ ათასიანი მუშათა და სტუდენტების დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგებით: „ერთიანი ფრონტი იმპერიალისტების წინ აღმდეგ“, „მოითხოვეთ მმართველობის დემოკრატიული წესწყობილება“, „ძირს უთანასწორო ხელშეკრულებანი“, „მოვითხოვთ სატარიფო დამოუკიდებლობას“ და სხვა.

იმ დროს, როცა კონფერენცია ხდებოდა, სტუდენტებმა გამართეს დემონსტრაცია. მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. დაიჭრა მრავალი პოლიციელი და სტუდენტი. მოკლულ იქნა ერთი პოლიციელი. დააპატიმრეს მრავალი სტუდენტი.

## უ-პეი-ფუს განცხადება.

საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში უ—პეი—ფუმ განაცხადა:

„მე ყოველ ღონისძიებას ვიხმარ მთელი ჩინეთის გაერთიანებისთვის“.

შეკითხვაზე თუ როგორ დამოკიდებულებაშია ის გომინდანის პარტიასთან (ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციონური პარტია) უ—პეი—ფუმ განაცხადა:



უ—პეი—ფუ.

„მე არ ვეკუთვნი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას. მაგრამ თუ რომელიმე პარტიას კი აქვს მიზნად ქვეყნის სიკეთე,—ეს არის ჩემი პარტია“.

მუშათა მოძრაობის შესახებ უ—პეი—ფუმ განაცხადა:

„სანამ მუშათა კავშირები კმაყოფილდებიან ლეგალური (ნებადართული) მუშაობით, მათი არსებობა დაშვებულ იქნება, თუ რომ მათი მუშაობა კანონის ფარგლებს გასცილდება, ისინი აღაგმულ უნდა იქნან“.

საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ მან განაცხადა: „სანამ ჩინეთის ნამდვილი მთავრობა არ შეიქმნება, საბაჟო კონფერენცია არ ჩაითვლება კანონიერად“.

დასასრულ უ—პეი—ფუმ განაცხადა: „ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა უნდა იმუშაონ ერთად უკეთესი მომავლისთვის“.

## აჯანყება სირიაში ფართე ხასიათს ღებულობს.

ხმებია, რომ მდგომარეობა სირიაში მეტად რთულია. დრუზების აჯანყება ფართო ხასიათს ღებულობს.

## ბურჟუაზიული სასამართლო მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ოქტომბერს ბულგარეთის სამხედრო სასამართლო შეუდგა ბულგარეთის კომკავშირის ცეკას გასამართლებას. ბრალდებულთაგან სასამართლოს წინაშეა მხოლოდ 4 კაცი. მათ ბრალდებათ კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობა. ბრალმდებლები მოითხოვენ მათ სიკვდილით დასჯასა და მცირეწლოვანთა ხანგრძლივ პატიმრობას.

— სოფიაში დაიწყო ეგრედ წოდებულ „გლეხთა კავშირის საიდუმლო ორგანიზაციის“ გასამართლება. მთავარი ბრალმდებელი გრეჩაროვი მოკლულ იქნა რამოდენიმე თვის უკან.

ტატარბუნარის საქმეზე დამთავრდა ბრალდებულთა მოწმეების დაკითხვა. თითქმის ყველა მოწმეებმა უარი სთქვეს წინასწარი ჩვენებისაგან და განაცხადეს, რომ ისინი იძულებული იყვნენ მიეცათ ჩვენება ძალდატანებისა და წამების ქვეშ.

## „წითელი უმეტესობა“ ბერლინის ქალაქის თვითმართველობაში.

ბურჟუაზიული პრესა განცვიფრებულია ბურჟუაზიული ბლოკის (კავშირის) დამარცხებით ბერლინის ქალაქის თვითმართველობაში და მწუხარებას გამოსთქვამს „წითელ უმრავლესობის“ წარმოშობის გამო.

„ფორვერტსი“ აღნიშნავს, რომ „გერმანიის კომპარტიის შედარებითი ძალა გვიმტკიცებს, თუ როგორი აღმზრდელობითი მუშაობაა საჭირო ბერლინში, რომ ქალაქის თვითმართველობაში შეიქმნას საიმედო რესპუბლიკანურ-სოციალისტური უმეტესობა“.

## ლოკარნოს შემდეგ.

### გერმანიის ნაციონალისტ-მინისტრების გადადგომა.

გერმანიის პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა მიიღო ნაციონალისტ მინისტრების შილეს, შლიბენისა და ნეიჰაუზის გადადგომა.

გესლერს დაეკისრა შინაგან საქმეთა მინისტრობა, ლიუტერს—ფინანსთა მინისტრობა.

### სკშინსკი მიწვეულია ლონდონში

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკშინსკი 30 ნოემბრისათვის მიწვეულია ლონდონში ლოკარნოში დადებულ ხელშეკრულების მოსაწერად.

„ნამ პშეგლონდი“ აცხადებს, რომ სკშინსკის პოზიციის შედეგად ლოკარნოს კონფერენციაზე, პოლონეთს შეუძლია მიიღოს ლონდონის ბანკებიდან მნიშვნელოვანი სესხი.

### ფრანგები უმბარებს უშენენ არაბთა ქალაქ დამასკს.

ლონდონის გაზითები ათავსებენ თვალსაჩინო ალაგზე პალესტინის არაბთა კონგრესის დეპეშას. დეპეშა ადასტურებს, რომ ფრანგების მიერ დამასკზე ყუმბარების დაშენის შედეგად დანგრეულია დამასკის დიდი ნაწილი, სადაც დაიღუპა 25.000 ქალი და ბავში.

ბრიტანეთის კონსულის მიმართვაზე შეეწყვიტათ ყუმბარების დაშენა, ფრანგებმა უარი განაცხადეს.

## პოლონეთის პოლიცია აძლიერებს მუშაობას დასავლეთ ბელორუსიაში.

**კომუნისტური პარტია მოუწოდებს გაფიცვებისა და აჯანყებულთა რაზმების შედგენისაკენ.**

ნოვოგრუდსკის მაზრაში (დასავლეთ ბელორუსია) პოლონეთის პოლიცია აწარმოებს ჩხრეკასა და დაპატიმრებას პარტიზანულ რაზმების მოსპობის მიზნით. ჟანდარმებმა დააპატიმრეს 150 კაცი.

მიუხედავად სასტიკი ზომებისა კომპარტია გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს და მოუწოდებს დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობას გაფიცვებისა და აჯანყებულ რაზმების შედგენისაკენ.

## საბჭოთა კავშირში

### 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავი

რ. კ. პ. (ბ.) ცეკამ მიმართა ყველა საოლქო კომიტეტებს და ნაციონალურ ცეკებს 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის, აღსანიშნავად დღესასწაულების ჩატარების შესახებ. კომპანია დაიწყება 19 დეკემბრიდან მომავალ წლის 9 იანვრამდე. ცენტრალურ დღეთ უნდა იქნეს 19 დეკემბერი—დეკემბრის აჯანყების პირველი დღე.

### ამხ. სოკოლნიკოვი მეორე საგლეხო მომგებიან სესხის შესახებ.

„მეორე საგლეხო მომგებიანი სესხი—განაცხადა სოკოლნიკოვმა—ეს არის მეთხე სესხი, რომელიც ნაწილდება სოფლად.

სესხის პირობები შეთანხმებულია როგორც სოფლის მოსახლეობის, ისე ქალაქის ინტერესებსა და საჭიროებასთან“.

## პარტიული ცხოვრება

**2-რე ლეგ. 3-ე კომუჯრედი.**

ლეგიონის ბანაკიდან ჩამოსვლის შემდეგ პარტიული მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა ჩვენთან. მართალია მუშაობა ისევ შესუსტდა გრძელ ვადიან შვებულებაში მრავალი ამხ. წასვლის გამო, მაგრამ რამოდენიმე უჯრედების გაერთიანებით მუშაობა ისევ თავის სიმაღლეზე დადგა. 19 ოქტომბრის უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ განხილული იქნა კავშირში მისაღებ ამხანაგების განცხადებები.

მოუთმენლად მოველით ახალწვეულ პარტიულ ამხანაგებს, რომ შევსძლოდ პარტმუშაობის შესაფერად გაძლიერება.

სამხკორი ვ. ლ.

**6 ე ლეგ. უნცროს მეთაურთა სკოლა.**

23 ოქტომბერს შესდგა სკოლის კომუჯრედისა და ახკომკავშირის ჯგუფის მორიგი გაერთიანებული ღია კრება, რომელსაც უპარტიო ამხანაგებიც მრავლად დაესწრნენ.

მოსმენილი იქნა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობისა და რ. კ. პ. ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებების შესახებ.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებით კრება ვრცლად გაეცნო ლოკარნოს კონფერენციით შექმნილ მდგომარეობას და საბჭოთა კავშირის პოზიციას. აქვე აღნიშნული იქნა კომუნისტური მოძრაობის ზრდა სხვა და სხვა ქვეყნებში და კომინტერნის მოღვაწეობა.

შემდეგი მოხსენება შეეხო რ. კ. პ. ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებებს, რომელიც დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი. შეკითხვებზე შესაფერი პასუხის გაცემის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ გაათკეცებული ენერგიით შეითვისებენ და გაატარებენ ცხოვრებაში აღნიშნული პლენუმის ყველა დადგენილებებს.

კრებაზე გამოირკვა ჩვენი კურსანტების შესაფერი მომზადების დონეც. თითეული მათგანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა შეკითხვების მიცემით და რაც უმთავრესია ფხიზლად ადევნებდენ თვალყურს ყველა საკითხების გარშემო გამართულ სჯა ბაასს.

შემდეგ განხილული იქნა პარტიაში მისაღებ ამხანაგების განცხადებები.

სამხკორი ელზაშვილი.

## სამხედრო საქმე.

### წვევამდე მომზადების შესახებ.

მთავრობის მიერ ამ ხანებში დამტკიცებული კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ საზღვრავს სამხედრო მომზადების შემდეგ სახეებს: 1) წვევამდე მომზადება, 2) ნამდვილი სამხედრო სამსახური და 3) თადარიგში მყოფ პირთა მოწვევა.

მთავრობის მიერ ამ კანონის გამოცემამდი მომზადების ერთი სახეთაგანი—წვევამდე მომზადება ვერ იყო საკმაოდ მოგვარებული და ბევრი გაურკვევლობა ახლდა. ეხლა ეს თავიდან აშორებულია და ჩვენს წინაშე სდგას მორიგი არსებითი საკითხი წვევამდე მომზადებისა.

არმიის სარდლობა ამ დღეებში გასცემს ბრძანებას შეუდგენ წვევამდელთა სწავლებას არაუგვიანეს ა. წ. 1-ლ დეკემბრისა, სადაც თვით სწავლება უნდა გატარდეს „წვევამდელთა სასწავლო წერტილზე შეკრების საშუალებით ხუთი დღით ზედი-ზედ 2—3 დღით სახლში გაშვებით. საერთო წლიურ გეგმასთან დაკავშირებულ წვევამდელებთან მეცადინეობის პროგრამას გამოგზავნის ცენტრი. დეკემბრის, იანვრის, თებერვლისა და მარტის თვეების განმავლობაში განზრახულია გატარებულ იქნას წვევამდელთა ორი რიგი. წვევამდელთათვის, რომლებმაც უნდა ისწავლონ ძირითად ნაწილებში, ნაანგარიშევია 280 საათიანი პროგრამა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში—210 საათიანი.

წვევამდელები კმაყოფას მიიღებენ ქვაბიდან; ამიტომ ის დიდი ნაკლი წვევამდელებთან მუშაობაში, რომელიც დღემდის დიდად აფერხებდა წვევამდელის სწავლებას, დღეს გამოსწორებული იქნება და, უეჭველია, წვევამდელთა სწავლება უფრო წესიერად იწარმოებს, ვინემ წარსულ წელში.

აგრეთვე საჭირბოროტო საკითხი—საკითხი სწავლების საათებისთვის ხელფასის მიცემისა მეთაურთა და პოლიტშემადგენლობაზე მოგვარებულია ცენტრის მიერ, ცოტად თუ ბევრად, მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის სასარგებლოდ. 9 კაპიკის მაგივრად, რომელიც ეძლეოდა მათ საათში დღემდი, გადაწყვეტილია მიეცეთ 18—20 კაპიკი. გაწვეული მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა ამ მომატებას ანგარიშს გაუწევს და სათანადო ყურადღებით მოეკცევა იმ მუშაობას, რომელიც წინ უდგას მას ახლო მომავალში. წვევამდე მომზადების ჩასატარებლად გაწვეულ მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მატერიალურ მდგომარეობისადმი მთავრობის ყურადღებამ უნდა ჰპოვოს გამოძახილი მეთაურთა და პოლიტშემადგენლობაში.

წვევამდელთა მომზადებისთვის გაწვეულ მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მომავალ მუშაობას უსათუოდ მოჰყვება დადებითი შედეგები, რაც საგრძნობლად აამაღლებს ჩვენი ახალწვეულების მომზადების დონეს; არმიაში ტეხნიკის განვითარებასთან დაკავშირებით სწავლების პროგრამა საკმაოდ ვრცელია, რაც მოითხოვს მთელი პირადი შემადგენლობის მაღალ მომზადებას. თუ როგორ უნდა ვემზადოთ მომავალ მუშაობისთვის და რაში გამოიხატება ეს მუშაობა—ამის შესახებ ვილაპარაკებთ შემდეგ.

ი. ბარ.

## საბერძნეთ-ბულგარეთის შეტაკება

საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება.

საბერძნეთის ჯარებმა გადალახეს ბულგარეთის საზღვარი და აუტეხეს სროლა ქალაქ პეტრიჩს.




ყოველივე ეს მოხდა რამოდენიმე დღის შემდეგ, რაც დამთავრდა ლოკარნოს კონფერენცია, სადაც იმპერიალისტური მტაცებლები ულოცავდენ ერთმანეთს „ზავისა და მშვიდობიანობის“ დამყარებას. საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე გასროლილმა ტყვიამ მთელ ქვეყანას ამცნო თუ რამდენათ მტკიცეა ეს „ზავი“ და რა რიგ ღრმაა წინაალმდეგობანი იმპერიალისტური სახელმწიფოების შორის.

ბალკანეთი მუდმივი ქიშპობის და შეიარაღებულ შეტაკებების ბუდეა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ბალკანეთს დიდი პოლიტიკური და სამხედრო—სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ბალკანეთი—ხიდია ევროპასა და აზიას შორის' დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები მუდამ სცდილობდენ ბალკანეთის ხელში ჩაგდებას.

ინგლისი, საფრანგეთი და სხვები—ყველანი მოწადინებული იყვნენ ხელთ ეგდოთ ეს დიდი მნიშვნელობის ნახევარკუნძული.

ამიტომაც ბალკანეთში ეხეთქება ერთი მეორეს ამ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ინტერესები, რაც გამოიხატება ბალკანეთის წვრილ სახელმწიფოების შეტაკებებში. საქმე იმაშია, რომ დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები თავის გავლენის ქვეშ იპყრობენ რომელიმე ბალკანეთის სახელმწიფოს და მათი საშუალებით სცდილობენ გაბატონებას მთელ ნახევარკუნძულზე. მაგალითად, ინგლისის მფარველობის ქვეშ არის საბერძნეთი, ხოლო საფრანგეთისა კი—სამხრეთ სლავია.

ამ ჟამად ბალკანეთში მეტად მწვავედ სდგას მაკედონიის და ფრაკიის საკითხი. საბერძნეთი, ბულგარეთი, სამხრეთ-სლავია-ყველანი დაინტერესებული არიან მიისაკუთრონ ეს ნაწილები. ამ ნიადაგზე ხდება სასტიკი შეტაკება მათ შორის.

უკანასკნელი საბერძნეთ—ბულგარეთის შეტაკებაც ამავე დავის შედეგია. განსაკუთრებით მდგომარეობა საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის გამწვავდა მას შემდეგ, რაც მაკედონიის საზღვრებიდან საბერძნეთის მთავრობამ განდევნა ბულგარელი მოსახლეობა და მის ადგილზე ჩაასახლა ლტოლვილი ბერძნები.

ამრიგად საბერძნეთ—ბულგარეთის შორის მომხდარი შეიარაღებული შეტაკება სრულიად არ არის შემთხვევითი. მას ღრმა და სერიოზული ხასიათი აქვს და შეუძლია დიდი გართულებები გამოიწვიოს მთელ ევროპაში. ამიტომაც იყო, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ძლიერ შეშფოთდენ საბერძნეთ-ბულგარეთის შეტაკებით და ყოველგვარ ზომებს იღებენ შეტაკება ომად არ გადაიქცეს. ადვილი შესაძლებელია საბერძნეთ-ბულგარეთის კონფლიქტი (უთანხმოება) დროებით მოაგვარონ ერთა ლიგამ, მაგრამ არა დიდი ხნით. ადრე თუ გვიან ის მაინც იფეთქებს გაძლიერებული ძალით. და ეს მტრობა და ქიშპობა ბალკანეთის ერებს შორის არ გათავდება მანამდი, სანამ თვით ბალკანეთის მშრომელი მასები რევოლიუციონური გზით არ დაამხობენ შინაური და გარეშე მყვლეფელების ბატონობას და არ შექმნიან ბალკანეთის საბჭოთა სახელმწიფოების მტკიცე კავშირს ძმობის და სოლიდარობის საფუძველზე.

—ე.

## შეკრების შემდეგ.

4-ხე ლეგ. 2-რე ათას. 5-თე ასეული.

შეკრების დასრულების შემდეგ ლეგიონის ყველა ნაწილები დაუბრუნდენ თავიანთ პუნქტებს, სადაც დიდი მზრუნველობით დაუხვდა მათ ადგილობრივი ხელისუფლება. ყველგან აღმოუჩინეს ჩვენს ნაწილებს საჭირო მატერიალური დახმარება, ამან კი საშვალება მისცა ჩვენს ასეულებს შეეკეთებინათ სადგომი ბინები, სამზარეულოები, მოეგვარებიათ განათების საქმე და მრავალი სხვა.

5-თე ასეულს განზრახული აქვს ადგილობრივი მოსახლეობის გასამხედროების მიზნით მოაწყოს სამხედრო კუთხეები. ჯერ-ჯერობით კუთხეები მოეწყობა ორ ადგილას.

ასეულში უკვე მოწყობილია ლენინის კუთხე, სადაც სისტემატიურად სწარმოებს კულტურულ-პოლიტიკური საგანმანათლებლო მუშაობა. საერთოდ ჩვენი ასეული კმაყოფილია ყველაფრით, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელსაც შეუგნია ტერ-სისტემის სიდიადე და მისი გატარების აუცილებლობა ჩვენში.

იმედია არც შემდეგში მოგვაკლებენ თავის ყურადღებას ამხანაგები.

სამხკორი ხან—მანი.

## კულტურული საქმიანობა ჩვენთან

მე-6 ლეგ. მე-3 ათასეული.

ჩვენი ნაწილი დაუბრუნდა თავის ოთხი თვის განმავლობაში მიტოვებულ ბინებს და შეუდექით საზამთრო მუშაობას.

მოწყობილი იქნა ლენინის კუთხეები ყველა ასეულებში. ამასთანავე გვაქვს ათასეულის სანიმუშო ლენკუთხეც. მოწყობილი იქნა აგრეთვე სამხედრო კუთხე, სადაც ყოველ საღამოობით იყრიან თავს არმიელები, სხვა და სხვა თემებზე საუბრების მოსასმენათ. ჟურნალ-გაზეთები სისტემატიურად მოგვდის. ამ დღეებში მივიღეთ აგრეთვე ახალი წიგნები ლეგბიბლიოთეკიდან. ათასეულში დაარსებული იქნა აგრეთვე სხვა და სხვა ხასიათის წრეები: ყველაში სწარმოებს მეცადინეობა. მუშაობის უფრო ნაყოფიერებით კი ყველაში განირჩევა დრამწრე. საერთოდ ყველა წრეებს კარგად მომზადებული ამხანაგები ხელმძღვანელობენ.

პ. გელაზონია.

## დაარსდა მომღერალთა წრე

2-რე ლეგიონი

ლეგიონში ამ დღეებში დაარსდა მომღერალთა წრე. მეცადინეობა ჯერ-ჯერობით კარგად მიმდინარეობს. სწავლობენ სხვა და სხვა ხალხურსა და რევოლიუციონურ სიმღერებს. წრეში მონაწილეობას ღებულობენ, როგორც წითელ არმიელები, ისე უფ პოლიტშემადგენლობაც. იმედია წრე გაამართლებს იმედებს და შესაფერ დახმარებას გაგვიწევს ლეგიონში გამართულ საღამოებზე და წარმოდგენების ჩატარების დროს.

სამხკორი ა. ს—ძე,

## ჩვენი საქმიანობიდან.

მე-2 მესანგრეთა ასეული.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ასეულმა დაამთავრა საერთო შეკრება და საკარვო მუშაობა. ცვალებადელები დიდი ამბით გავაცილეთ გრძელვადიან შვებულებაში და დავურიგეთ საჩუქრები.

ყველას მიეცა დავალებები სოფლად მუშაობის შესახებ. ამის შემდეგ შეუდეგით ასეულის მოწყობას საზამთროდ. მიუხედავად დაღლილობისა ასეულის არმიელები ენერგიულად მუშაობდენ. 23 ოქტომბერს ასეული გადაყვანილი იქნა სხვა ქალაქში. ახალ ბინაზე კვლავ დაგვჭირდა მუშაობის თავიდან დაწყება, ლენინის კუთხის და სხვათა ხელახლად მოწყობა.

ჩვეულებრივად შეუდექით მუშაობას და ვეწყობით ახალ ბინაზე. წითელ არმიელებს შორის ძლიერ კარგი განწყობილებაა. დისციპლინა შეგნებული—ამხანაგური.

წ. არმ. ფრანგი.

### ესეც გამოასწორეთ.

1-ლი საარტ. ლეგიონი.

ჩვენთან დიდი ყურადღება ექცევა სადგომი ბინების გასუფთავებას. ყველა ბატარეიებში მოეწყო სასადილოები. ყველგან არის გადადუღებული წყალი და სხვა. ექიმებიც თავის დროზე დადიან და ათვალიერებენ არმიელებს, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც საჭიროა აღინიშნოს, რაც მოითხოვს ყურადღებას. ლეგიონში ხშირად აგვიანებენ საცვლების გარეცხას და წითელ არმიელების თავის დროზე აბანოში გაგზავნას, რაც უკმაყოფილებას იწვევს არმიელებში.

საჭიროა ესეც მოგვარდეს.

სამხკორი ა. არველაძე.

## სამკითხველოში ვერ შევდივართ

3-მე ლეგიონი

ჩვენი ლეგიონის სამკითხველო უმეტეს შემთხვევაში დაკეტილია, ხშირად დავბრუნებულვართ სამხედრო მეცადინეობიდან 12 საათზე. მივდივართ სამკითხველოსაკენ, რომ წავიკითხოთ გაზეთები ან წიგნები გამოვიტანოთ, მაგრამ სამკითხველოს გამგე არ გვხვდება თავის ადგილზე. ვდგევართ რიგში და ველით როდის მოვა. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე?




დროა სათანადო ყურადღებას მიაქცევდენ ამ გარემოებას ვისაც ეს შეეხება და აიძულებდენ სამკითხველოს გამგეს იყოს თავის ადგილზე.

წ. არმ. მოთვალთვალე.

## 6-სე ლეგ. კლუბი საერთო ტერ-შეკრების დროს.

მასიური მუშაობა.

კლუბის გამგეობა და ბიურო კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ მასიურ მუშაობას.

იმათმა შესძლეს მთელი შემადგენლობის შესწავლა და ათი დარაზმა კლუბის გარშემო.

ლეგკლუბის გამგეობამ გამოაცხადა კონკურსი ათასეულის ფარგლებში, სკოლის გარეშე მუშაობაზე. ყველა ათასეულების მიერ დადგმულ იქნა კომბინიური საღამოები. მთლიანად 5 სექტემბრიდან-5 ოქტომბრამდე დადგმულ იქნა 13 საღამო. ამათგან თვითმოქმედების საღამო 6-ჯერ, კომბინიური 4-ჯერ და 3 კითხვა პასუხის საღამოები.

ნაჩვენები იქნა კინო სურათები 4-ჯერ. საღამოების ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ წითელ-არმიელები. წაკითხულ იქნა ლექციები სხვა და სხვა თემებზე 8-ჯერ.

ლექციები უმთავრესათ ეხებოდენ დედამიწის და სიცოცხლის წარმოშობის საკითხებს.

აგრეთვე მოეწყო 6-ი ექსკურსია.

გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთები ასეულების, ათასეულების, ეროვნულ ჯგუფებისა და ლეგიონის სულ 26 ცალი,

თითეულ გაზეთში შუქდებოდა ყოფაცხოვრებისა და სხვა და სხვა ხასიათის საკითხები, რომელიც წითელ-არმიელთათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. 3-ჯერ ჩატარებული იქნა სანლექციები ათასეულის ფარგლებში. ხოლერაზე, ტიფზე და სოციალურ ავადმყოფობებზე.

ლეგიონის კლუბთან არსებობდა სკოლის გარეშე პროპაგანდის კურსები, რომელიც მთლიანი სკოლის გარეშე მუშაობის ცენტრად ითვლებოდა.

გარდა ამისა არსებობდენ კოოპერაციის, საბჭოთა ძირითად აპარატის შემსწავლელი და სამხედრო კუთხეების გამგეების მოსამზადებელი ჯგუფები.

მოწყობილ იქნა სამხედრო კუთხე ტრამვაის მუშათა კლუბში სადაც ჩამოყალიბდა 2 სამხედრო წრე; ერთი რუსული—მეორე ქართული.

მეცადინეობას წრეებში ატარებდენ მიმაგრებული მეთაურები.

გვქონდა კავშირი დაჭერილი ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომთან. იდგმებოდა გაერთიანებული ძალებით წარმოდგენები დაახლოების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტები დიდ მონაწილეობას ღებულობდენ სკოლის გარეშე მუშაობაში,

რისთვისაც ლეგიონის კლუბის გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის მათ.

მთლიანათ საერთო შეკრების დროს სკოლის გარეშე მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო.

სამხკორი ე—ლი.

## მოგვეცით ინსტრუქციები ქართულ ენაზე.

ქართულ ნაწილებს ხშირად გვიხდება საყარაულოდ გასვლა გარნიზონში, სადაც ყოველთვის გაჭირვებული ვართ. ინსტრუქციები და ყოველნაირი წესები ჩამოწერილია საყარაულოში რუსულ ენაზე, რისაც ჩვენ არაფერი გვესმის. მართალია ვიცით ჩვენი მოვალეობანი, მაგრამ სხვა და სხვა საყარაულოებში სხვა და სხვა წესებია და ხშირად შევდივართ შეცდომაში. რამოდენიმეჯერ იყო აღნიშნული ამის შესახებ ჩვენს გაზეთში, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა. რა გასჭირდა რუსულის გვერდით ქართულადაც იყოს საყარაულოებში ჩამოწერილი ეს წესები და გაგვიადვილონ სამსახურის შესრულება?

დროა ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან დანაკლისს მიექცეს საჭირო ყურადღება ვისგანაც ჯერარს.

წ. არმ. კობე.

## საჭიროა მკერავი

1-ლი საარტ. ლეგიონი

ლეგიონის 4-ხე საგაუბიცო ბატარეიას გასულ თვეებში ყავდა ერთი მკერავი, რომელიც დიდ საშვალებას აძლევდა ნაწილის წითელ არმიელებს დახეული ტანსაცმლის შეკეთებაში. აღნიშნული მკერავი კარგა ხანია გაანთავისუფლეს და ჩვენც დავრჩით უმკერავოთ. ამ ჟამად მისი მოყვანის შესახებ არავინ ფიქრობს, არმიელებისათვის ეს აუცილებელია. აგერ რამდენი ხანია, რაც დაცვეთილ-დახეულ ტანსაცმელში დაიარებიან ჩვენი არმიელები. არავინ არის, რომ ტანსაცმელი შეაკეთოს. საჭიროა ლეგიონის მესვეურები შესაფერ ყურადღებას მოგვაქცევდენ და გვიქირავებდენ ერთ მკერავს.

ბატარეიის მდგომარეობა ამას აუცილებლად მოითხოვს.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## შვებულებაში წასული ცვალება-დელები არ გვივიწყებენ.

აფხაზეთის მე-6 ტერ-ასეული.

ჩვენს ცვალებადელ ამხანაგებს არ ავიწყდებათ წითელი ყაზარმა, და სოფლად წარმოებულ მუშაობასთან ერთად ჩვენც გვაცნობენ მათ საქმიანობას. ხშირად მოდიან სოფლებიდან ასეულში და გვესაუბრებიან სოფლის ცხოვრების შესახებ. ეცნობიან ყაზარმაში ამ ჟამად წარმოებულ მუშაობასაც. ესწრებიან პოლიტსაათებს და საყურადღებო საუბრებს. ამასთანავე ხშირად ეკითხებიან ჩვენს მეთაურებს თუ როგორ უნდა შეხვდენ სოფელში არა სასურველ პირების მოქმედებას, როგორ უპასუხონ და როგორ მოექცენ მათ. ისინიც ღებულობენ საჭირო დარიგებებს.

სამხკორი ი. კიკალიშვილი.

## სამხკორების საყურადღებოთ.

ამ ბოლო ხანებში ჩვენი დივიზიების თითქმის ყველა ნაწილების სამხკორები ნაკლებად აშუქებენ ნაწილებში არსებულ რემედასის უჯრედების მუშაობას.

რაშია საქმე?

რამოდენიმე ხნის წინად მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ მუშაობაში და დაწვრილებით შუქდებოდა მათგან აღნიშნულ ორგ ნიზაციების მუშაობა, მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. უკანასკნელად კი რაღაც მიზეზების გამო ასე არ ხდება. იმ დროს, როდესაც ნაწილის ცხოვრების ყველა მხარეებზე ბლომად მოეპოება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კორესპონდენციები, რემედასის უჯრედების შესახებ ერთი სიტყვაც არ არის დაძრული. თუ საჭიროა რომელიმე მოვლენას ყურადღება მიექცეს ნაწილის ცხოვრებაში, მით უმეტეს საჭიროა რემედასის მუშაობისათვის ყურადღების მიქცევა, რადგან მისი მნიშვნელობა როგორც ვიცით უძლიერესად დიდია.

საჭიროა შესაფერი ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას ჩვენმა სამხკორებმა და მოგვაწოდონ ცნობები ამ ორგანიზაციების მუშაობაზე.

რემედასელი კოლო.

## სამხკორთა შენიშვნებიდან.

### გვაჩვენეთ სურათები.

6-სე ტერ ლეგიონი.

საერთო შეკრების დროს ლეგიონში გადიღეს ტერ არმიელების საქმიანობა ეკრანზე. გადაღებული იქნა ყველა მომენტები სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული მუშაობის.

ყველას ძლიერ უხაროდა, რადგან მოელოდენ, რომ თავის საქმიანობას დაინახავდენ ეკრანზე. მას აქეთ კარგა ხანი გავიდა და სურათების არა ისმის რა. კარგი იქნება გვაჩვენებდენ ამ სურათებს, მით უმეტეს წითელ არმიელებს ძლიერ არიან მონდომებული.

სამხკორი X.

# ახკომკავშირელთა შორის.

## ჩვენი უჯრედის საქმიანობიდან.

### მეთაურთა სკოლა.

ორი თვით მიყუჩებულმა სკოლამ ისევ გაიღვიძა და ახმაურდა. შვებულებიდან და ტერლეგიონებიდან დაბრუნებული კურსანტები ახალი გამოცდილებებით შეუდგენ მუშაობას. პარტიული მუშაობა გაცხოველებული მიმდინარეობს. კომუჯრედებისა და კომკავშირის უჯრედების კრებები სისტემატიურად მიმდინარეობს. 16 ოქტომბერს სკოლაში შესდგა ცხენოსან ასეულ-ის და საარტილერიო განყოფილებისა და უჯრედების ღია კრება. მოსმენილი იქნა მოხსენებები უჯრედების მდივნების მუშაობის შესახებ, რომელიც კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო. არჩეული იქნა ახალი ბიურო, რომელსაც კრებამ დაავალა მეტი ენერგიული საქმიანობა და ყურადღებით მოეკიდოს კურსანტების აღმზრდელობით ხასიათის მუშაობას და უპარტიო ამხანაგების ჩაბმას საერთო საქმიანობაში.

კურსანტი უსუფ.

## ჩვენს უჯრედში.

### სამხ. პოლიტ. სკოლა.

23 ოქტომბერს შესდგა სკოლის ახკომკავშირელთა საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება—ორკვირეული მიმოხილვა და ახკომკავშირის წესდების შესწავლის შესახებ.

ამხ. გიორგაძე, რომელმაც გააკეთა ორკვირეული საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა, დაწვრილებით შეეხო ლოკარნოს კონფერენციის შედეგებს და მის საშიშროებას საბჭოთა კავშირისათვის.

ბოლოს გაგვაცნო აგრეთვე ქართული ემიგრაციის მდგომარეობა საზღვარგარედ და მისი გახრწნა. ამხ. ამის შესახებ მოიყვანა დამახასიათებელი ადგილები ალიხანაშვილის წერილებიდან, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

შემდეგ წაკითხული იქნა კავშირის წესდება და პროგრამა მუხლობრივად, რომლის ერთი ნაწილი გადაიდვა განსახილველად შემდეგი კრებისათვის.

მიმდინარე საკითხებში შემოტანილი იქნა შეკითხვა დისციპლინის შესახებ, თუ როგორი ზომები უნდა იქნეს მიღებული კრებაზე დაუსწრებლობისათვის. კრებამ დაადგინა იხელმძღვანელოს ამ შემთხვევაში ბიურომ წესდებით.

სამხკორი მ. საწირელი.

# ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლათ.

ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლათ ტფ. აღმასკომის დადგენილებით აღმასკომთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია ამხ. ლ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით.

ტფილისის აღმასკომის დადგენილებით მაზრის ყველა თემებში არჩეულ იქნებიან აგრეთვე სათემო კომისიები, რომლებშიაც შევლენ ადგილობრივ უპარტიო გლეხების, ქოხ-სამკითხველოების, პარტკომის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კომისიებს ევალებათ სასწრაფოთ შეუდგენ სამზადისს მაზრის სოფლებში დღესასწაულის ჩასატარებლათ.

# ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების წესი ტფილისში.

6 ნოემბერს საღამოს გაიმართება ტფილისის აღმასკომის სადღესასწაულო სხდომა ადგილკომებს და ქარხკომებთან ერთად.

7 ნოემბერს დილით მუშათა შეერთებული დემონსტრაცია, ლოზუნგებით და პლაკატებით კულტურულ სამეურნეო ფრონტზე ჩვენი მიღწევების შესახებ.

7 ნოემბერს საღამოს უფასო საღამოები კინოებსა, თეატრებსა და კლუბებში.

8 ნოემბერს დილით საბავშვო წარმოდგენები თეატრებსა და კინოებში. ტანთმოვარჯიშეების გამოსვლა.

ამავე დღეს საღამოს საკლუბო საღამოები.

# მაზრაში.

მაზრაში 8 ნოემბერს დილით შესდგება თემსაბჭოების სადღესასწაულო სხდომები. შეფები ამ დღეს იმყოფებიან თავიანთ საშეფო სოფლებში და უშუალო მონაწილეობას ღებულობენ დღესასწაულში.

# ამბები სოფლებიდან.

### წყალსადენის გაყვანა.

სოფ. ტოლას (რაჭის მაზრა) თავიდაშვილებისუბნის გლეხებმა გადასწყვიტეს საკუთარი ძალებით შეუდგენ წყალსადენის გაყვანას.

### აგრონომები სოფლად.

შორაპნის აღმასკომმა დანიშნა აგრონომები ქვათურის, ზესტაფონის, ხარაგოულის, ჩხარის და საჩხერის თემებში გლეხებისათვის აგროდახმარების საქმის გაუმჯობესების მიზნით.

### მარნების გადაცემა.

სიღნაღის აღმასკომმა შეღავათიან პირობებში გადასცა მეღვინეთა კოოპერატიულ კავშირს მარნები ჩუმლაყში და ახაშენში.

### სოფ. აშაგასერალი.

სოფ. აშაგასერალში (ბორჩ. მაზრა) უკვე შეუდგენ ერბოკარაქის სახდელ ქარხნის მოწყობას.

### ოზურგეთი.

გლეხთა სახლის ამშენებელი კომისია უკვე შეუდგა საამშენებლო მასალის დაგროვებას.

### ახალი არტელები.

ზესტაფონში დაარსდა ინვალიდთა ოთხი ახალი ნადი.

# უცხოეთის არმიებში.

### ახალი რეკორდი ჰაეროპლანის სიჩქარეში.

საფრანგეთში ჰაეროპლანების სიჩქარის გამოსაცდელად გამართულ შეჯიბრზე, მფრინავ ლანიმ აიღო ახალი მსოფლიო სიჩქარის რეკორდი. თავისი ჰაეროპლანით მან გაიარა—დაჰფარა ერთი საათის განმავლობაში 279 კილომეტრი მანძილი.

### აჯანყებულ ფრანგ მეზღვაურების გასამართლება.

აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში საფრანგეთის ქალაქ ტულონის სასამართლოში ირჩეოდა ფრანგ მეზღვაურების ორი უნცროსი ოფიცრისა და ორი მატროსის საქმე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ გემ „კურბეზე“ აჯანყების მოწყობა. ხმელთაშუა ზღვაზე მოგზაურობის დროს გემის სამანქანო განყოფილების მეზღვაურთა შორის იფეთქა აჯანყებამ ცუდი კმაყოფის გამო. აჯანყებულებმა მიმართეს უფროს ოფიცერს, და როდესაც მიიღეს სიპირო განმარტება, დროებით დაკმაყოფილდენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოურკვეველ მიზეზების გამო აღნიშნულ ოფიცერმა თავი მოიკლა და მისი ადგილი დაიკავა მეორემ. ამ გარემოებამ უფრო გაამწვავა საქმე და მღელვარება მეზღვაურთა შორის გაძლიერდა. გემის უფროსმა განკარგულება გასცა გადაემალათ თოფები. ამ დროს გემი იდგა ნეაპოლთან (იტალიაში).

უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა იმის გამო, რომ მეზღვაურებს აუკრძალეს ნაპირზე გადასვლა.

როდესაც დადგა გემის აშვების დრო, მემანქანემ უარი განაცხადა მოვალეობის ასრულებაზე, მაგრამ ბოლოს მაინც აიძულეს ისინი. 13 კაცი დატუსაღებული იქნა, მაგრამ წინასწარი გამოძიების შემდეგ 9 გაანთავისუფლეს დანარჩენი 4 გადასცეს სასამართლოს.

რამოდენიმე დღის შემდეგ ამავე სასამართლოს უნდა გაერჩია კიდევ მეორე გემზე აჯანყებულების საქმე, მაგრამ რა გადაუწყვიტეს მათ, ჯერ არავინ იცის. სჩანს საფრანგეთის მეზღვაურებშიც იკიდებს ფეხს უკმაყოფილება.

ნ. დ. ს. ც.

# ახალი ამბები.

— ტელეფონი გარე უბნებში. ტფ. აღმასკომმა დაადგინა გაიყვანოს გარე უბნებში ტელეფონის ქსელი და დასდგას სატელეფონო ბუდკები.

— ახალი აფთიაქ ბი. ქალ. ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა გახსნას ქალაქში და მაზრის სოფლებში ახალი აფთიაქები.

— ტფილისის მაზრის იუსტიციის მუშაკთა ყრილობის მოსაწვევათ ტფ. აღმასკომმა გადასდო 700 მან.

— ოზურგეთის საბავშვო სახლს ტფილისის აღმასკომმა გადასცა ათასი მან.

— ა.-კავ. კოოპერატივთა კავშირი წლს საზღვარ-გარეთიდან შემოიტანს 700 ვენახის საქიმო მანქანას.

— საქართველოს ქალაქებში საბინაო კრიზისის მოსასპობათ გამოანგარიშებით საჭიროა 8 ათასი ბინის აგება.

— ხილის დამზადება. წარმოკავშირი წელს დაამზადებს 100 ათას ფუთ ხილეულს.

— ჩვენი ხილი საზღვარგარედ. ა. კ. კოოპერ. ცენტრ. კავშირი წელს საზღვარ-გარეთ გასასაღებლათ გაიტანს 30 ათას ფუთ ხილს.

— დასასვენებელ სახლებში წელს ა.-კავ. დამზღვევმა სალაროებმა გაგზავნეს 12.863 კაცი.

— ბოთლების დამზადება. მომავალ წელში ბორჯომის შუშეულობის ქარხანაში დაამზადებენ 2.700.000 ცალ ბორჯომის ბოთლს.

— თუშური ყველის გატანა. წარმოკავშირი წელს დაამზადებს 15 ათას ფუთ თუშურ ყველს საბჭოთა კავშირის ბაზარზე გასასაღებლად.

# პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. ვიყავი დაზღვეული. საექიმო დახმარებას ვღებულობდი ოჯახისათვის. წიგნაკი არ მქონდა, რადგან სურათი ვერ მივიტანე თავის დროზე. გამიწვიეს ჯარში. ეხლა ვირიცხები თუ არა წევრად ან დახმარება მიეცემა თუ არა ჩემს ოჯახს?

კურსანტი ო. გველესიანი.

პასუხი. მხოლოდ ოჯახის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ დამზღვევი სალაროთი, თქვენ არა.

კითხვა. ელისაბედის ქ. მაქვს სახლი. 3 ოთახში ვდგევართ 10 სული. ორში მოქ. ნიშნიანიძე, რომელიც ჯამაგირს ღებულობს სპეც განაკვეთით. 4 წელიწადია მას ქირა არ გადაუხდია, იძახის შემაქვს დეპოზიტშიო. შემიძლია თუ არა სივიწროვის გამო დავაცლევინო ბინა ან თუ არა რამდენი უნდა იხადოს ბინის ქირა ნიშნიანიძემ?

წ. ა. ჩბ—რიში.

პასუხი. ქირის გადაუხდელობის შესახებ შეგიძლიათ აღძრათ საჩივარი მოიჯარდის მიმართ სახალხო სასამართლოში. მოქ. ნიშნიანიძემ ბინის ქირა უნდა იხადოს, როგორც საბჭოთა მოსამსახურემ, დაწესებულ ნიხრის და ჯამაგირის მიხედვით.

კითხვა. უფროს მეთაურებს აქვთ თუ არა უფლება ისარგებლონ ყაზარმაში ბინით, ნავთით და შეშით?

პასუხი. მიმართეთ არმიის საბინაო განყოფილებას.

კითხვა. გამოწვეული ვარ წ. ჯარში 1925 წ. მაისში. 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულებთან ერთად განთავისუფლებული ვიქნებით თუ არა სამსახურიდან?

წ. ა. გოგელაშვილი.

პასუხი. განთავისუფლებული იქნებით მათთან ერთად.

კითხვა. უნცროს მეთაურს, უვადო შვებულებაში წასულს, შეუძლია თუ არა მუშფაკში შესვლა და რამდენ ხანს სარგებლობს შეღავათებით?

მახარაშვილი.

პასუხი. ერთი წლის განმავლობაში დღიდან უვადო შვებულებაში წასვლისა, უფლება გაქვთ ისარგებლოთ წ. მოლაშქრის შეღავათებით. რაც შეეხება მუშფაკში შესვლას, ამის შესახებ მიმართეთ მის ადმინისტრაციას.

კითხვა. შეუძლია თუ არა ამხანაგურ სასამართლოს ლეგიონში ან სკოლაში გაასამართლოს რომელიმე წ. ა. ან კურსანტი დანაშაულობისთვის და მიუსაჯოს მას ციხე ან დათხოვნა სკოლიდან?

სამხკორი ა. გაგუა.

პასუხი. არ შეუძლია. თუ ასეთ მოვლენას ქონდა ადგილი აცნობეთ ქართ. დივიზიების სამხედრო პროკურატურას.

კითხვა. მაქვს სახლი, რომელიც შეკეთებას მოითხოვს, ამის საშუალება მე არ მაქვს. შემიძლია თუ არა ტყიდან მასალის გამოტანა უფასოთ?

წ. ა. დომელიშვილი.

პასუხი. თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა 1924 წ. 29 ოქტომბრიდან, წ. ა. მიეცემათ ხე-ტყის მასალა შეღავათიან ფასებში და განსაკუთრებულ შემთხვევაში კი უფასოთ.

კითხვა. მე ვარ მარტოხელი. ოჯახში მყავს 6 სული შესანახი. გამოწვეული ვარ 1925 წ. მაისში. გამანთავისუფლებენ თუ არა სამსახურიდან?

ბატკანაძე.

პასუხი. სამსახურიდან არ გაგანთავისუფლებენ. დახმარებისთვის მიმართეთ აღმასკომს.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. დიასამიძეს (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი „ჩვენც ვემზადებით“ არ გვაქ. ასეთი იყო.

ამხ. მ.ოდ—რიას თქვენი ლექსი არ გამოდგა. მოგვაწოდეთ წერილები ნაწილის ცხოვრებიდან.

ამხ. ამხ. მეფ რიშვ ლს, მ. ცქიფურიშვილს და ოსიპაიშვილს თქვენი ლექსები არ გამოდგა.

ამხ. ამხ. ლოლომაძეს (2-რე ლეგ.) ჰინკას (1-ლი საკავშირო) ხიდისთაველს (მეთაურთა სკოლა) ვ. ნოზაძეს (5 თე ლეგ.) და გოგუას თქვენი წერილები: „ჩვენი მოგზაურობა“, „ლომინაძის შესახებ“, „ნუ ჩაგვაგდებთ ასეთ მდგომარეობაში“, „5-თე ლეგ. 4 წლის თავი“ და „ყოვლად დაუშვებელია“ არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ წერილები სხვაზე და ხშირად.

ამხ. გ. წულაძეს (1-ლი საკავშირო) თქვენი წერილი „საჭირო გაფრთხილება“ გადაეცით ადგილობრივ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.